საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“.

მიგრანტი

№6 / 2015

სამი დღე შუახევის მუნიციპალიტეტის სოციალურ სახლში

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ თანამშრომელმა ლევან ჩხაიძემ სამი დღე შუახევის მუნიციპალიტეტის სოციალურ სახლში გაატარა. სამდღიანი ვიზიტის მიზანი აღნიშნულ სოციალურ სახლში მცხოვრები მოსახლეობისთვის პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ დეტალური გაცნობა და სოციალური საწარმოს ჩამოყალიბების იდეის მიწოდება იყო. ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში ლევან ჩხაიძემ საკუთარ მაგალითზე გამოსცადა თუ რაოდენ რთულია იცხოვრო შრომისუნარიანმა მოქალაქემ სამსახურის გარეშე.

შუახევის სოციალურ სახლში მცხოვრები მიგრანტები ბიზნესიდეებზე მუშაობენ

შუახევის მუნიციპალიტეტში არსებულ სოციალურ სახლში 52 ოჯახი ცხოვრობს. მათი უმრავლესობა ეკომიგრანტია. ისინი აქ იძულებით მოვიდნენ სოფელ ბუთურაულიდან, ნიგაზეულიდან, ახალდაბიდან, ნაღვარევიდან, ჟანივრიდან, უჩამბიდან, ცინარეთიდან... მათ სტიქიით დაზარალებულთა I და II კატეგორია აქვთ გეოლოგების მიერ მინიჭებული, რაც იმას ნიშნავს, რომ საცხოვრებელი საერთოდ არ გააჩნიათ (I კატეგორია) ან, სახლი აქვთ, მაგრამ ეკოლოგიური პროცესების შედეგად იმდენად არის დაზარალებული, რომ ცხოვრება შეუძლებელია (II კატეგორია).

ახალ მეზობლებს საერთო ბევრი აქვთ: ერთი ჭერი; დამეწყრილი მამული, სადაც მთელი ცხოვრება გაატარეს; დასაქმების პრობლემა; სახელმწიფოს შემწეობა... 52 ოჯახში მხოლოდ 12 მოქალაქეა დასაქმებული (10 სანდასუფთავების სამსახურში მუშაობს, ხოლო 2 – პროფილაქტიკაში), მაგრამ არც ერთ მათგანს ოჯახის შესანახად ფინანსები არ ჰყოფნის. შრომის საზღაური მიზერულია და როგორც თვითონ ამბობენ „პურის ფულად ძლივს ჰყოფნით“.

შუახევის მუნიციპალიტეტში სოციალურ სახლს რამდენიმე დღით ახალი ბინადარი გაუჩნდა – ლევან ჩხაიძე. იგი ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტში“ თემის მობილიზატორის პოზიციაზე მუშაობს. შუახეველ მიგრანტებთან სწორედ სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად წავიდა. ბატონი ლევანი სოციალურ სახლში არა მარტო თემის მობილიზატორი, არამედ ერთი რიგითი ბინადარიც იყო, რომელმაც მიგრანტის ყველა „სიკეთე“ გამოსცადა, რაც შუახევის მუნიციპალიტეტის სოციალური სახლის ბინადრებს აქვთ. შთაბეჭდილებებით „დახუნძლული“ თემის მობილიზატორი ბათუმში დაბრუნების შემდეგ ისევ შუახეველ მიგრანტებზე ფიქრობს და დასკვნებს აკეთებს: „შუახევის მუნიციპალიტეტი არ გამოირჩევა რესურსების სიმრავლით, არც სასოფლო-სამეურნეო მიწითაა განებივრებული. ალბათ ამან გამოიწვია მოსახლეობის სოციალური დონის დაქვეითება. ადგილობრივი ხელისუფლება სოციალურად შეჭირვებულ მოსახლეობას შეძლებისდაგვარად ეხმარება. ამის დადასტურებაა შუახევის მუნიციპალიტეტის ცენტრში განთავსებული სოციალური სახლიც.“

პირველი, რაც ლევან ჩხაიძეს „თვალში მოხვდა“ შუახევის მუნიციპალიტეტის სოციალურ სახლში არსებული პირობებია: „კეთილმოწყობილი ოთახები, სველი წერტილები, წყალი (მართალია საათობით, მაგრამ არის), დენი, გათბობა... თითქმის ყველას შეშის ღუმელი უდგას. შეშა ადრიანად მოუმარაგებიათ და ახლა, როცა გარეთ ავდარია, სახლში თბილად არიან. აქ სულ 52 ოჯახი ცხოვრობს და მათი უმრავლესობა სოციალურად შეჭირვებული და მრავალშვილიანია. ყველა მათგანს შეუძლია შრომა, რითაც ღირსეულ ადგილს დაიკავებენ ჩვენს საზოგადოებაში, მაგრამ სამწუხაროდ უმრავლესობას სამსახური არ აქვს. მათ დახმარება სჭირდებათ, რათა მიეცეთ შესაძლებლობა, რომ საკუთარი საქმე ჰქონდეთ და უკეთესი მომავალი შეიქმნან.“

დღე შუახევის მუნიციპალიტეტის სოციალურ სახლში ღუმელში ცეცხლის გაჩაღებით იწყება. ეს ოჯახის უფროსის მოვალეობაა. როგორც კი სითბოს სუნი დატრიალდება ოთახში, დიასახლისი ფეხზე დგება, შვილებს საუზმეს უმზადებს და სკოლაში აცილებს.

შვილების სიმრავლით სოციალურ სახლში მალხაზ ტარიელაძის ოჯახი გამოირჩევა. იგი 11 შვილის მამაა. მათგან უფროსი 14 წლისაა, უმცროსი კი – 3-ის. ოჯახი სახელმწიფო შემწეობას იღებს და წელიწადში ერთხელ 1000 ლარს ისევ სახელმწიფოსგან, როგორც მრავალშვილიანი ოჯახი. 13-სულიან ოჯახს სახელმწიფო შემწეობა თვიდან თვემდე საკვებზე ძლივს ყოფნის.

შუახევის სოციალურ სახლში მცხოვრები ქალბატონები დროის უმეტეს ნაწილს ოჯახის მოვლას უთმობენ: შვილებს, ქმრებს უვლიან, სადილვახშამს აკეთებენ, სახლს ალაგებენ... მიუხედავად ამდენი საქმისა, სამსახური მაინც უნდათ. ამბობენ, რომ თუ საშუალება მიეცემათ, „უკან არ დაიხევენ! ხელფასი, უფრო სწორედ ფულადი შემოსავალი ოჯახში ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომაც გვინდა დავსაქმდეთ!“ თავისუფალი დრო ცოტა აქვთ, მაგრამ ერთმანეთთან ყავაზე შეკრებას მაინც ახერხებენ. სხვა საკითხების პარალელურად ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ შეთავაზებასაც განიხილავენ – სოციალური საწარმოს ჩამოყალიბება რამდენად ეფექტური იქნება, რა სარგებელი ან ზარალი შეიძლება მოუტანოთ სოციალურ სახლში მცხოვრებლებს ასეთი საწარმოს გახსნამ. იდეები ბევრი აქვთ: ნინოს სამკერვალოს გახსნა უნდა. შუახევლებისთვის ეს სერვისი არ არის ადგილზე ხელმისაწვდომი.

გარდა სამკერვალოს გახსნისა, მიგრანტი ქალბატონები სილამაზის სალონისა და საკონდიტროს გახსნის იდეასაც განიხილავენ.

მაშინ, როცა შუახევის მუნიციპალიტეტის სოციალურ სახლში მცხოვრები ქალბატონები ბიზნესის დასაწყებად იდეებზე ფიქრობენ, ერთ-ერთი მათგანი, დარეჯანი იმედგაცრუებული ოცნებობს დამლაგებლობაზე...

ერთ საათში იმედი ყვავდება და ისევე კვდება. იდეაში გაშლილი და მოგებაზე ორიენტირებული ბიზნესი სახელმწიფო შემწეობის დაკარგვის შიშს ეწირება: „დახმარება რომ მოგვიხსნან და ბიზნესმაც არ გაამართლოს?“ – მერე ყველა თავის რეალობას და საქმეს უბრუნდება.

მაშინ როცა ქალბატონები საოჯახო საქმეებით არიან დაკავებული, მამაკაცები თავს „ჯოკრის“ თამაშით ირთობენ.

ბიზნესში ჩართვის მოტივაცია ბევრს აქვს, მაგრამ შიშობენ, სოციალური დახმარება არ შეუჩერონ. იდეები განსხვავებულია: დათოს მობილური ტელეფონების შესაკეთებელი სახელოსნოს გახსნა უნდა. მიაჩნია, რომ ამ ტიპის სახელოსნო გაამართლებს და მოგებაზე იქნება ორიენტირებული, რადგან შუახევის მუნიციპალიტეტში მსგავსი სახელოსნო არ არის და მომხმარებლებს მსგავსი სერვისით სარგებლობისათვის ქალაქ ბათუმში უწევთ ჩასვლა. მაგრამ დათო ამ იდეის ირგვლივ სოციალურ საწარმოს ვერ აერთიანებს, „ასე ეფექტური ვერ იქნება,“ - თავადვე ასკვნის.

შუახეველი მიგრანტები ავეჯის საწარმოს გახსნის, მეფუტკრეობის განვითარებისა და სათბურის გაკეთების იდეასაც განიხილავენ.

ჭეშმარიტება როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც კამათში დაიბადა. შუახევის სოციალურ სახლში მცხოვრებმა მიგრანტებმა გადაწყვეტილება მიიღეს: „ჩვენთან მეფუტკრეობა კარგი იქნება, თაფლიც საკმაოდ ძვირი ღირს. სოციალურ საწარმოს თუ დაგვიფინანსებენ, ერთობლივი ბიზნესი ამ კუთხით უფრო მომგებიანი იქნება. არც სასათბურე მეურნეობაა ცუდი... ამ მიმართულებით ჯობია მუშაობა.“

რაკი გადაწყვეტილება მიიღეს, თავიანთი ბიზნესიდეები ოფიციალურად დააფიქსირეს. შუახევში უკვე შებინდებული იყო. „ჯოკერიც“ დასასრულს უახლოვდებოდა. დიასახლისებს ვახშამი გამზადებული ჰქონდათ. „დასალევი წამგებმა იკისროს,“ - თქვეს და „სუფრა“ გააერთიანეს. მომავალი წარმატების სადღეგრძელოც ბევრჯერ დალიეს იმ ღამეს... ეს იმ მესამე დღის მიწურულს იყო, როცა „ინტელექტის“ თანამშრომელი ლევან ჩხაიძე შუახევს ტოვებდა. ულამაზესი ხედები, დათოვლილი მთები, მიგრანტების გულში გაღვივებული იმედი და მომავალი წარმატებული წლის მოლოდინი დატოვა თან...

„ასეთი მარტივია შუახეველი მიგრანტების მოთხოვნები, მაგრამ სოციალური სახლის ფანჯრებიდან მაინც რთულად მოჩანს,“ – ფიქრობს ლევან ჩხაიძე. იგი დარწმუნებულია, რომ „ნებისმიერი საქმე, რომელსაც ისინი წამოიწყებენ, წარმატების მომტანი იქნება, რადგან იმედი ჩაესახათ და დაიჯერეს, რომ საქმის კეთება შეუძლიათ!“

PS. ლევან ჩხაიძე: „ჩვენი ორგანიზაციის მიზანია, რომ შუახევის მუნიციპალიტეტის სოციალურ სახლში მცხოვრებ მიგრანტებს (და არა მარტო მათ) შევუქმნათ სამუშაო ადგილები და მივცეთ შესაძლებლობა აკეთონ საკუთარი ბიზნესი. თავიდან სკეპტიკურად გვიყურებდნენ, ვერაფრით გაიგეს, თუ რატომ შეიძლება მივიდეს საერთოდ უცნობი ადამიანი და დახმარება შესთავაზოს. უნდობლობა იმდენად დიდი იყო, რომ თითოეულს სახლში რამდენჯერმე ვაკითხავდი და ვესაუბრებოდი... გულღია საუბრებმა და მათთან ერთად „პურის გატეხამ“ შედეგი გამოიღო, თავისიანად მიგულეს და უფრო მეტად გახსნილები გახდნენ. შედეგმაც არ დააყოვნა. უამრავი იდეა მოუვიდათ, საღად იაზროვნეს, საქმიანად იკამათეს და შეჯერდნენ. ისინი ახლა მეფუტკრეობისა და სასათბურე მეურნეობის ბიზნესიდეაზე მუშაობენ. ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ კი, რა თქმა უნდა, დაეხმარება საქმის წამოწყებაში.“



ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ჩანართის რედაქტორი:
თეონა კაკაციძე
მისამართი: ბათუმი, ალმაშენებლის 13
ტელ: 24 16 40; **ფაქსი:** 24 16 50
მობ: 592 57 18 00
ელფოსტა: info@intellect.org.ge
ვებგვერდი: www.intellect.org.ge